სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

02 / თებერვალი / 2026 წ.

KA080170975039626

№ **361**

განკარგულება

შპს „კარტალის“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქარელის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT240026115;

შესყიდვის ობიექტი: 45100000 – სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „კარტალი“ (ს/ნ: 400007737);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2025 წლის 10 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 10 დეკემბრის № 104-104253449 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №10502), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „კარტალის“ (ს/ნ: 400007737) მიერ NAT240026115 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2025 წლის 29 იანვრის № 28 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის zazakoberidze1969@gmail.com მეშვეობით, 2025 წლის 12 დეკემბრის №3375 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2025 წლის 19 დეკემბერს სააგენტოში წარმოადგინა 2025 წლის 19 დეკემბრის № 8/26 განმარტება (რეგისტრაციის № 10979) მის მიერ NAT240026115 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2025 წლის 29 იანვრის № 28 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2025 წლის 29 იანვრის № 28 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, გასულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტებით, 2025 წლის 11 თებერვლისა და 17 ივნისის სამუშაოს შესრულების ინსპექტირების № 11 და № 73 აქტები შედგენილი იყო არა ინსპექტირების ჯგუფის, არამედ ერთი კონკრეტული პირის მიერ. შემსყიდველი ორგანიზაციის 2025 წლის 20 ნოემბრის № 104-104253247 წერილში მითითებული გარემოება, რომ მიმწოდებლის მიერ არ გამოსწორებულა ინსპექტირების აქტში მითითებული ხარვეზები, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, რამდენადაც მიმწოდებელს არ მიუღია მითითება ინსპექტირების განმახორციელებელი პირისაგან. მიმწოდებელი არ დაეთანხმა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გადაგზავნილ მიღება-ჩაბარების აქტს, რამდენადაც იგი შედგენილი იყო არასწორად. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას 2025 წლის 7 თებერვალს სთხოვა აენაზღაურებინა ნაწილობრივ შესრულებული სამუშაოები, თუმცა შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2025 წლის 11 თებერვალს უარი განაცხადა აღნიშნულზე, იმის გამო, რომ ინსპექტირების განმახორციელებელმა პირმა მოწყობილი ქვიშის ყუთები ჩათვალა უხარისხოდ. ფიცრის მოხვეწასთან დაკავშირებით, მიმწოდებელი აღნიშნავს, რომ რამდენჯერაც არ უნდა მოხვეწილიყო ფიცარი, თუკი შეღებვამდე არ დამუშავდებოდა გრუნტით, შეღებილ ფიცარს ყოველთვის ექნებოდა ხარვეზები. სწორედ აღნიშნულის გამო ჩაითვალა ინსპექტირების აქტით ფიცარი მოუხვეწავად. ამასთან, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში არ იყო ცალკე გრაფა ან მითითება, სადაც იქნებოდა გათვალისწინებული ფიცრის ჯერ გრუნტით დამუშავება და შემდეგ შეღებვა, რომელიც საჭიროებდა დამატებით ხარჯებს. ამასთან, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში არ იყო მოცემული გაუთვალისწინებელი ხარჯი. მიმწოდებელმა გააგრძელა სამუშაოების წარმოება, კერძოდ, ფიცრის დემონტაჟის შემდეგ არამარტო მოიხვეწა, არამედ გაირინდა, დაიგრუნტა და შეიღება, რის შედეგადაც, ქვიშის ყუთებზე გამოყენებულ იქნა სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასალა/ აქსესუარი, მოეწყო ექვსივე საბავშვო ბაღში და შესული იყო ექსპლუატაციაში. აღნიშნულის შემდეგ მიმწოდებელმა 2025 წლის 1 აპრილს მიმართა შემსყიდველ ორგანიზაციას, ვადაგადაცილებით, 2025 წლის 1 აპრილს დასრულებული სამუშაოების ანაზღაურების თხოვნით. მიმწოდებელი აცხადებს, რომ აღნიშნული მოთხოვნის დაყენების შემდგომ ინსპექტირების ჯგუფს არ განუხორციელებია შესაბამისი ინსპექტირება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება. მიმწოდებლის მოთხოვნის შედეგად, 52 კალენდარული დღის შემდეგ, შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2025 წლის 22 მაისის წერილით უარი განაცხადა სამუშაოების ანაზღაურებაზე იმ მიზეზით, რომ მიმწოდებელს ხარისხიანად არ ჰქონდა შესრულებული სამუშაოები და აცნობა ხელშეკრულების შეწყვეტის მიზანშეწონილობის განხილვის შესახებ, რასაც არ დაეთანხმა მიმწოდებელი 2025 წლის 28 მაისის წერილით. აღნიშნულის შედეგად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს 25 კალენდარული დღის შემდეგ გადაუგზავნა მიღება-ჩაბარების № 46 აქტი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ინსპექტირების ჯგუფის მიერ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სამუშაოები დასრულდა არა 2025 წლის 1 აპრილს, არამედ 22 აპრილს. ინსპექტირების № 73 აქტში მითითებული იყო, რომ საჩრდილობელი ფანჩატური, საწვიმარი ღარი და ქვიშის ყუთები მოეწყო უხარისხოდ, თუმცა არ იყო დაკონკრეტებული თუ რით გამოიხატებოდა ქვიშის ყუთების უხარისხობა. ამასთან, მიღება-ჩაბარების აქტში შემსყიდველი ორგანიზაცია მიუთითებდა საჩრდილობელი ფანჩატურისა და საწვიმარი ღარის მოწყობის სამუშაოების დაფინანსებას და არ განიხილავდა ქვიშის ყუთების მოწყობის სამუშაოების დაფინანსებას, რასაც არ დაეთანხმა მიმწოდებელი და მოითხოვა მიღება-ჩაბარების აქტში ქვიშის ყუთების მოწყობის სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებაც. აღნიშნული გარემოების შემდეგ, შემსყიდველი ორგანიზაციის 2025 წლის 20 ნოემბრის წერილით იკვეთება, რომ არ გამოსწორებულა ინსპექტირების აქტში მითითებული ხარვეზები და არ განხორციელებულა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა. ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესრულებული სხვადასხვა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიმღები კომისიის № 183 დასკვნა, რომელშიც მოცემული იყო, რომ მიმწოდებელმა არ გამოასწორა ინსპექტირების აქტში მითითებული ხარვეზები, შედგენილი იყო 2025 წლის 21 ნოემბერს. ხელშეკრულების თანახმად, ინსპექტირება უნდა განხორციელებულიყო შემსყიდველი ორგანიზაციის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების კონტროლის (ინსპექტირება) მიზნით შერჩეული სხვა პირ(ებ)ის მონაწილეობით, ხოლო თუ მიმწოდებლის წარმომადგენელი უარს განაცხადებდა აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდებოდა ამავე აქტში და იწვევდა მძიმე სამართლებრივ შედეგებს. მოცემულ შემთხვევაში ინსპექტირება ჩატარდა ერთი პირის მიერ, ხოლო მიმწოდებლის წარმომადგენელი არ იქნა მიწვეული ინსპექტირების აქტის შედგენის დროს. ზემოაღნიშნული დარღვევების გათვალისწინებით, მიმწოდებელმა უარი განაცხადა მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2025 წლის 29 იანვარს, NAT240026115 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ქარელის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „კარტალს“ (ს/ნ: 400007737) შორის დაიდო № 28 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მიმწოდებელს, 2025 წლის 26 თებერვლის ჩათვლით, უნდა შეესრულებინა სოფელ ახალსოფლის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობისა და ხუთ საბავშვო ბაღში (ბებნისის, აგარის, დირბის, ზემო ხვედურეთის და ქარელის № 3) ქვიშის ყუთის მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 8 394,68 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2025 წლის 30 მარტი.

4.2. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას 2025 წლის 7 თებერვლის № 2/25 წერილით აცნობა, რომ ნაწილობრივ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, რის გამოც, ითხოვა

შუალედური ანგარიშსწორება.

4.3. საქმეში არსებული 2025 წლის 11 თებერვლის სამუშაოს შესრულების ინსპექტირების № 11 აქტის მიხედვით, მიმწოდებლის მიერ მოწყობილი ქვიშის ყუთები იყო უხარისხო, რამდენადაც, ნაცვლად მოხვეწილი ფიცრისა, გამოყენებული იყო უხარისხო ფიცარი.

4.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2025 წლის 11 თებერვლის № 104-1042504263 წერილით მიმწოდებელს აცნობა, რომ უარს აცხადებდა შუალედურ ანგარიშსწორებაზე, რამდენადაც მიმწოდებლის მიერ მოწყობილი ქვიშის ყუთები იყო უხარისხო, კერძოდ, ნაცვლად მოხვეწილი ფიცრისა, გამოყენებული იყო უხარისხო ფიცარი. ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოუწოდა გამოესწორებინა ხარვეზი, წინააღმდეგ შემთხვევაში გააფრთხილა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენების შესახებ.

4.5. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას 2025 წლის 1 აპრილის № 3/25 წერილით აცნობა, რომ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები და ითხოვა თანხის ანაზღაურება.

4.6. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2025 წლის 22 მაისის № 104-1042514221 წერილით მიმწოდებელს აცნობა, რომ, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მას არ გამოუსწორებია ობიექტზე არსებული ხარვეზები.

4.7. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას 2025 წლის 28 მაისის № 5/25 წერილით აცნობა, რომ 2025 წლის 1 აპრილიდან 22 მაისამდე ქარელის მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფს არ შეუდგენია ინსპექტირების აქტი ობიექტის სრულყოფილად ან არასრულყოფილად დასრულების შესახებ. ამასთან, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისაგან არანაირი წერილობითი დოკუმენტი არ მიუღია თუ რატომ არ ანაზღაურდებოდა შესრულებული სამუშაოები, მაშინ როდესაც მისი მხრიდან ხარვეზები გამოსწორებული იყო. ამავე წერილის მიხედვით, ექვსივე საბავშვო ბაღში აქტიურად გამოიყენებოდა ფანჩატურები და ქვიშის ყუთები.

4.8. საქმეში არსებული 2025 წლის 17 ივნისის სამუშაოს შესრულების ინსპექტირების № 73 აქტის მიხედვით, სამუშაოები დასრულებული იყო 2025 წლის 22 აპრილის მდგომარეობით. სოფელ ახალსოფელში საჩრდილობელში სკამი საზურგით, ნაცვლად 50 მმ. სისქის ფიცრისა, მოწყობილი იყო 40 მმ. სისქის ფიცრით. ამასთან, ნაცვლად 24 ერთეულისა, გამოყენებული იყო 20 ერთეული ჭანჭიკი ქანჩით. გარდა ამისა, მოწყობილი იყო 14 ცალი საწვიმარი ღარის სამაგრი. ამავე აქტის თანახმად, მიმწოდებლის მიერ ყველა საბავშვო ბაღში მოწყობილი ქვიშის ყუთები იყო უხარისხო.

4.9. საქმეში არსებული, მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, 2025 წლის 23 ივნისის №46 მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, სამუშაოები დასრულდა ვადაგადაცილებით, 2025 წლის 22 აპრილს, რის შედეგადაც, საჩრდილობელში სკამი საზურგით, ნაცვლად 50 მმ. სისქის ფიცრისა, მოწყობილი იყო 40 მმ. სისქის ფიცრით. ამასთან, ნაცვლად 24 ერთეულისა, გამოყენებული იყო 20 ერთეული ჭანჭიკი ქანჩით. გარდა ამისა, მოწყობილი იყო 14 ცალი საწვიმარი ღარის სამაგრი, ხოლო მიმწოდებლის მიერ ყველა საბავშვო ბაღში მოწყობილი ქვიშის ყუთები იყო უხარისხო. ამავე მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, მიმწოდებელმა შეასრულა 5 852,97 ლარის სამუშაო, რაც ხელშეკრულების ღირებულების 70%-ს შეადგენს. ამავე მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, მიმწოდებელს ეკისრებოდა პირგასამტეხლო.

4.10. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას 2025 წლის 24 ივლისის № 7/25 წერილით აცნობა, რომ ინსპექტირების №73 აქტში მითითებული გარემოება, რომ სამუშაოები დასრულდა 2025 წლის 22 აპრილს, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, რამდენადაც სამუშაოები დასრულდა 2025 წლის 1 აპრილს. 2025 წლის 1 აპრილიდან 22 მაისამდე ობიექტზე ინსპექტირება არ განხორციელებულა, თუმცა 2025 წლის 22 მაისს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ ფანჩატურისა და ქვიშის ყუთის მოწყობის სამუშაოები იყო დასრულებული და ექსპლუატაციაში შესული. ამავე წერილის მიხედვით, მიმწოდებლისათვის წარდგენილ მიღება-ჩაბარების აქტში, საჩრდილობელში სკამის მოწყობის ღირებულება შესაბამისად იყო გაანგარიშებული, თუმცა ქვიშის ყუთების მოწყობის ღირებულება არ იყო გაანგარიშებული, მიუხედავად იმისა, რომ ქვიშის ყუთების მოწყობისათვის გახარჯული იყო 7 დასახელების სამშენებლო მასალა. მიმწოდებელი აღნიშნავს, რომ ქვიშის ყუთზე, ნაცვლად 30 მმ.-სა, გამოყენებული იყო 20 მმ. სისქის ფიცარი. ამავე წერილით, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას სთხოვა მიღება-ჩაბარების აქტში გაანგარიშებულიყო ქვიშის ყუთის მოწყობის ღირებულება.

4.11. ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 2025 წლის 20 ნოემბრის №09-1042532416 მოხსენებითი ბარათის მიხედვით, ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესრულებული სხვადასხვა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ინსპექტირების ჯგუფის არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მიმწოდებელს ობიექტებზე არ გამოუსწორებია ხარვეზები და მისი მხრიდან ხარისხიანად არ შესრულებულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულები. გარდა ამისა, არ განხორციელებულა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტზე, სადაც გაწერილი იყო სამუშაოების არაჯეროვანი შესრულების გამო პირგასამტეხლოს დაკისრება, ხელმოწერა.

4.12. შემსყიდველი ორგანიზაციის 2025 წლის 20 ნოემბრის № 104-104253247 წერილის მიხედვით, მიმწოდებლის მიერ არ გამოსწორებულა ინსპექტირების აქტში მითითებული ხარვეზები და არ განხორციელებულა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა.

4.13. ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესრულებული სხვადასხვა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიმღები კომისიის 2025 წლის 21 ნოემბრის № 183 დასკვნის მიხედვით, მიმწოდებელმა უხარისხოდ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულები და არ გამოასწორა ინსპექტირების აქტში მითითებული ხარვეზები.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „კარტალს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში ირკვევა, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2025 წლის 29 იანვრის №28 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. საგულისხმოა, რომ საქმეში არსებული, მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, 2025 წლის 23 ივნისის №46 მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, სამუშაოები დასრულდა ვადაგადაცილებით, რის შედეგადაც საჩრდილობელში სკამი საზურგით, ნაცვლად 50 მმ. სისქის ფიცრისა, მოწყობილი იყო 40 მმ. სისქის ფიცრით. ამასთან, ნაცვლად 24 ერთეულისა, გამოყენებული იყო 20 ერთეული ჭანჭიკი ქანჩით. გარდა ამისა, მოწყობილი იყო 14 ცალი საწვიმარი ღარის სამაგრი, ხოლო მიმწოდებლის მიერ ყველა საბავშვო ბაღში მოწყობილი ქვიშის ყუთები იყო დადგენილ პირობებთან შეუსაბამო (უხარისხო). ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილ იქნა 5 852,97 ლარის ღირებულების სამუშაოს ჩაბარების შესახებ. ამდენად, ცალმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის მიმწოდებელთან გადაგზავნით შემსყიდველმა ორგანიზაციამ გამოხატა სამუშაოების ნაწილობრივ, 5 852,97 ლარის ღირებულებით, ჩაბარების ნება. გასათვალისწინებელია, რომ მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის შემდეგ, კვლავ გადამოწმდა შესრულებული სამუშაოები და ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესრულებული სხვადასხვა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიმღები კომისიის 2025 წლის 21 ნოემბრის № 183 დასკვნით დადგინდა, რომ მიმწოდებელმა უხარისხოდ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულები და არ გამოასწორა ინსპექტირების აქტში მითითებული ხარვეზები. მიმწოდებლის განმარტებასთან დაკავშირებით, სააგენტო აღნიშნავს, რომ მიმწოდებელს სააგენტოსთვის არ წარუდგენია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახელებული გარემოებების გამაბათილებელი და მისი მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად და სრულად შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება. ამდენად, აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სახეზე არ არის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები და არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირების ან გაფრთხილების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა) მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ)

მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ვალდებულებები, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მიმწოდებელმა შეასრულა 5 852,97 ლარის სამუშაო, რაც ხელშეკრულების ღირებულების 70%-ს შეადგენს. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „კარტალის“ შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „კარტალს“ (ს/ნ: 400007737) 2026 წლის 3 თებერვალს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე